

შემოღების მცდელობას. მეფის რუსეთს დიდი სურვილი ჰქონდა დაუმორჩილებელი მოსახლეობა სასტიკად დაესაჯა. 1875 წელს თავისუფალი სვანეთის 2 ათასამდე წარმომადგენელმა თავი მოიყარა სოფელ ლალხორში და გადაწყვიტეს თუ მთავრობა ხელს არ აიღებდა განზრახვაზე იარაღით ხელში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებდნენ. მოსახლეობის გაუტეხელი წინააღმდეგობის დასაძლევად რუსულმა მხარემ ქვემო სვანეთის მხრიდან შემოიყვანა მრავალრიცხოვანი სამხედრო ექსპედიცია, რუსული რაზმები შემოვიდნენ ბეჩოს მხრიდანაც და დააპატიმრეს აჯანყების მოთავეები, რომლებიც ემსხვერპლნენ აჯანყების პირველ ეტაპს.


სადამსჯელო ოპერაციები გაგრძელდა 1876 წელსაც, რომლის მიზანს კვლავ მოსახლეობის დამორჩილება და აჯანყების გადარჩენილი მოთავეების დაპატიმრება ან ლიკვიდაცია წარმოადგენდა. მათი გადაწყვეტილებით სოფელი ხალდე ალყაში უნდა მოექციათ და იქიდან ცოცხალი არავინ არ გაეშვათ. სოფელს მთადგა სხვადასხვა სახეობის რაზმებით, საველე ლაზარეთით, სურსათ - სანოვაგით, საომარი აღჭურვილობით მომარაგებული სამხედრო ძალა. მრავალდღიანი წინააღმდეგობისა და სასტიკი ბრძოლების შემდეგ რუსულმა ძალამ შეძლო აჯანყების მეთაურთა შეპყრობა, სოფელ ხალდეს აღება და სრული მოსპობა. ამის შემდეგ აიკრძალა სოფელ ხალდეში დასახლება. სოფელ ხალდეს ტრაგედიამ დიდი გამოხამურება ჰპოვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, აჯანყებულთა დასაცავად აღსდგა საქართველოს ფართო საზოგადოება აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, დავით ლორთქიფანიძისა და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მეთაურობით. აჯანყებას მიეძღვნა ცნობილი სვანური სიმღერა - "გაულგავხე".

ხალდეს აჯანყება საქართველოს ისტორიის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია და ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. მსგავსი მოვლენების, როგორც მომავალი თაობისათვის, ასევე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის გაცნობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას გეოგრაფიული ობიექტებისათვის მათი სახელის მინიჭება წარმოადგენს, რაც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს ჩვენი ისტორიული წარსულის სიდიადეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივართ ინიციატივით მოხდეს სახელწოდების არ მქონე გეოგრაფიული ობიექტებისათვის, კერძოდ დ. მესტიაში შემოვლითი გზის მონაკვეთის სახელდება და ეწოდოს „თავისუფალი ხალდეს“ სახელი.

დანართის სახით გიგზავნით გეოგრაფიული ობიექტების ორთოფოტოს (1 ფურცელი), გთხოვთ, განიხილოთ.

პატივისცემით,



კაკიტიონ ჟორჯოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

შემსრ. ლალი გულედანი

ტელ: 599 10 64 41

ინდ. 3200.დ. მესტია
საიტის მისამართი N-1
ვებგვერდი: www.mestia.ge

ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gaimgeobamestia@yahoo.com